მაია ფირჩხაძე

ცოდნის სისტემატიზაციის, გამეორებისა და განზოგადების ფორმების გამოყენება სასწავლო პროცესში

გაკვეთილი - ეს რთული საგანმანათლებლო სისტემაა, რომელიც მიმართულია მოსწავლეთა ცოდნის, უნარისა და ღირებულებების ფორმირებისკენ, გონებრივი განვითარებისკენ, პიროვნული ჩამოყალიბებისკენ. ამავე დროს იგი სწავლების დინამიკური და ვარიანტული ფორმაა, რომელშიც აისახება ორი ურთიერთსაპირისპირო ელემენტი - ნორმატიული და შემოქმედებითი. სადღეისოდ გაკვეთილს აღარ განიხილავენ მხოლოდ განათლების გადაცემის ფორმად; იგი განიხილება როგორც მოსწავლეთა განვითარების წყარო, მათი შემეცნებითი ძალებისა და საშუალებების გამომზეურების საშუალება.

გაკვეთილის მოცულობა დამოკიდებულია შესასწავლად განკუთვნილი ინფორმაციის მოცულობაზე და ამ მასალის ათვისების აუცილებლობაზე. დიდი მნიშვნელობა ენიჭება გაკვეთილების მრავალფეროვნებას. გაცილებით ეფექტურია სასწავლო პროცესი, თუ ტიპურ გაკვეთილებს ე.წ. "არასტანდარტული, არატრადიციული" ფორმებით გავამრავალფეროვნებთ - ისინი მეტ შემოქმედებით თავისუფლებას ანიჭებენ მასწავლებელს.

გაკვეთილების კლასიფიკაციის რამდენიმე სქემა არსებობს, თუმცა უცვლელია აქცენტირება გაკვეთილის დიდაქტიკურ მიზანზე და გაკვეთილის ადგილზე განათლების პროცესში. დიდაქტიკური მიზანი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ელემენტია, რომელიც განსაზღვრავს გაკვეთილის ტიპსა და სტრუქტურას - გაკვეთილის სტრუქტურა ასახავს ცოდნისა და უნარის ათვისების პროცესს, ხოლო გაკვეთილების სისტემა კონსტრუირდება მოსწავლეთა მიერ ცოდნისა და უნარების ათვისების კანონზომიერების მიხედვით (დასახული მიზნის შესაბამისად, გაკვეთილის ცალკეული ფორმა შეიძლება სხვადასხვა ტიპს მივაკუთვნოთ, მაგალითად, ინტეგრირებული გაკვეთილი შეიძლება მიეკუთვნოს კვლევით ტიპსაც).

სქემა I

გაკვეთილის ტიპი	**გაკვეთილის ფორმა**
ახალი მასალის შესწავლა	ლექცია, ექსპედიცია (მოგზაურობა), კვლევა, კონფერენცია (პრესკონფერენცია), ინტეგრირება
ცოდნის კომპლექსური გამოყენება	პრაქტიკუმი, თხზულება, გაკვეთილი-დიალოგი, როლური და საქმიანი თამაში
ცოდნისა და უნარ-ჩვევების სისტემატიზაცია და განზოგადება	სემინარები, დისპუტები, თამაშები: „რა? სად? როდის?“, „ბედნიერი შემთხვევა“ და სხვ. ინტეგრირებული

	თეატრალიზებული (გაკვეთილი-სასამართლო), გაკვეთილი-კონკურსი, გაკვეთილი-შეჯიბრება და სხვ.
ცოდნისა და უნარ-ჩვევების კონტროლი	გაკვეთილი-შეჯამება, კონკურსი, პროექტების დაცვა, კვლევების დაცვა, შემოქმედებითი ანგარიში
კომბინირებული გაკვეთილი	მოიცავს სხვადასხვა ფორმას

სქემა II

გაკვეთილების კლასიფიკაცია		
დიდაქტიკური მიზნის შესაბამისად	**ჩატარების მეთოდიკის მიხედვით**	**ორგანიზების მიხედვით**
ახალი მასალის გადაცემის ფორმა	ლექცია, საუბარი, დამოუკიდებელი სამუშაო	გაკვეთილი-ლექცია; გაკვეთილი-საქმიანი თამაში
პრაქტიკული მეცადინეობა	ამოცანის ამოხსნა მასწავლებლის მეთვალყურეობით; დამოუკიდებელი სამუშაო; ლაბორატორიული სამუშაო	გაკვეთილი-პრაქტიკუმი; გაკვეთილი-შეჯიბრება; გაკვეთილი დიდაქტიკური თამაშით
გამეორების გაკვეთილი	განმაზოგადებელი ლექცია; დამოუკიდებელი სამუშაო	კომბინირებული გაკვეთილი; კონსულტაცია-გაკვეთილი; გაკვეთილი-დისკუსია
ცოდნის შემოწმების გაკვეთილი	გონებრივი იერიში; ტესტი; ზეპირი ანდა წერილობითი საკონტროლო სამუშაო; ჩათვლა; ინდივიდუალური საუბარი	გაკვეთილი-ჩათვლა; გაკვეთილი-სემინარი

სწავლების მიზანი მოსწავლის მთლიანი პიროვნული განვითარება, ანუ მასში არსებული აქტიური და შემოქმედებითი უნარების განვითარებაა, რაც ცვლის მიდგომას გამეორებისა და განზოგადების გაკვეთილის მიმართ, რადგან ასეთ დროს აქტიურდება სააზროვნო უნარები, იქმნება პირობები სწავლის მოტივების გაძლიერებისთვის, ყურადღებისთვის, წარმოსახვისთვის, ტექსტის ათვისებისთვის, მოსწავლეები ურთიერთობენ ერთმანეთთან, ისმენენ ამხანაგების აზრს, მართავენ დისკუსიას, აყალიბებენ ჰიპოთეზებსა და ვერსიებს, სისტემაში მოჰყავთ მიღებული ინფორმაცია.

ასეთ დროს მასწავლებლის როლი მაორგანიზებელია; იგი ეხმარება მოსწავლეებს სწავლის მიზნის განსაზღვრაში, აჩვენებს მისი მიღწევის გზებს, აძლევს დავალებებს, უწევს კონსულტაციებს. იცვლება მასწავლებლისა და მოსწავლლის ურთიერთობა, ამიტომ ასეთი გაკვეთილები ხელს უწყობს საკომუნიკაციო უნარების განვითარებას, მოსწავლესა და მასწავლებელს შორის, ნაცვლად სწავლების ავტორიტეტული სტილისა - თანამშრომლობას; ყალიბდება გაკვეთილის ჩატარების, შედეგების შეფასების სხვადასხვა ფორმა; იზრდება მოსწავლე/მასწავლებლის შემოქმედებითი შესაძლებლობები, ყალიბდება მათ შორის ჯანსაღი ემოციური ურთიერთობა. მოსწავლე აღარ არის მხოლოდ პასიური მიმღები ინფორმაციისა - ის ხდება პრობლემის სხვადასხვა კუთხით აქტიური მკვლევარიც. ამ დროს მთავარია არა ცოდნის გადაცემა და შემოწმება, არამედ მოსწავლეთა დამოუკიდებელი, შემოქმედებითი ხასიათის საქმიანობა - სწავლებაში ჩაერთვება: თამაშები, გაკვეთილი-სემინარები, გაკვეთილი-ტესტი, გაკვეთილი-პრაქტიკუმი, გაკვეთილი-კვლევა. ამიტომ არის, რომ თანამედროვე განმაზოგადებელი გაკვეთილი ხშირად გამოდის საგნის ჩარჩოდან, იღებს საგანთაშორისი კავშირის ხასიათს, მჭიდროდ უკავშირდება ლიტერატურას, გეოგრაფიას, საზოგადოებათმცოდნეობას. ასეთი გაკვეთილები შეიძლება ჩატარდეს საკლასო ოთახის გარეთაც - ბიბლიოთეკაში, მუზეუმში, არქივში.

გამეორებისა და განზოგადების გაკვეთილები, საზოგადოდ, იშვიათად ტარდება, რადგან გაკვეთილებზეც ხშირად ხდება გამეორება განვლილი მასალისა. ცოდნის განზოგადება კი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იგი ხელს უწყობს ცოდნის სისტემატიზებას, შეხედულებათა და მტკიცებულებათა ფორმირებას, ზოგადიდან კერძოს გამოყოფას და პირიქით. რამდენადაც განზოგადებას თან ახლავს გამეორება, მას განმეორებისა და განზოგადების გაკვეთილსაც უწოდებენ.

განზოგადებისა და გამეორების გაკვეთილის მეთოდებია:

* ლექცია;

* ზეპირი გამოკითხვა;

* სავარჯიშოების ორგანიზება პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისთვის;

* სემინარების გამართვა;

* გაკვეთილი-ექსკურსია.

გამეორებისა და განზოგადების გაკვეთილი შეიძლება შემდეგი ტიპისა იყოს:

* მასწავლებლის მიერ გადმოცემული ახალი მასალის შესწავლის გაკვეთილი;

* კომბინირებული, ე.წ. შედგენილი გაკვეთილი, რომელიც შეიცავს სასწავლო პროცესის ყველა ბმულს;

* შინ დამოუკიდებლად მომზადებული ახალი მასალის განხილვის გაკვეთილი;

* ცოდნის გამოყენებისა და უნარების ფორმირების გაკვეთილი (ასეთი გაკვეთილი შეიძლება იყოს ლაბორატორიულიც);

* მასალის სისტემატიზაციისა და განზოგადების გაკვეთილი; გამეორების გაკვეთილი, ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმების გაკვეთილი.

გამეორების და განზოგადების გაკვეთილის დიდაქტიკური მიზანია ცოდნის გამეორება და სისტემატიზაცია, თემის, პროგრამის ძირითადი კითხვების გამოყოფა, ხოლო **გაკვეთილის ძირითადი მახასიათებლებია:** ცოდნის აქტუალიზაცია, ცოდნისა და უნარ-ჩვევების კონსოლიდაცია, მოვლენათა სრული სურათის შექმნა, ადრე ნასწავლი საკითხების ერთ სტრუქტურაში მოქცევა, ცოდნის სისტემატიზაცია, განზოგადება, მთავარი პროცესების, შესასწავლი პერიოდის მოვლენების, მთავარი მოქმედი პირების გამოყოფა, მოვლენათა შორის კავშირის დამყარება, რთულ საკითხებში ჩაღრმავება, რაც საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ კიდევ უფრო მეტი თეორიული მასალის გაცნობას მოითხოვს, მოსწავლეთა მიერ სავარჯიშოების შესრულება.

რა განსაკუთრებული მხარეები აქვს განმაზოგადებელ გაკვეთილს? ესენია: ცოდნის უფრო მაღალი დონე, შესაძლებლობა და უნარი, პიროვნული ღირებულებების განვითარება, მთლიანად საგაკვეთილო დროის რაციონალური ორგანიზება და შედარებით მოკლე დროში გაცილებით დიდი მოცულობის სასწავლო მასალის ათვისება, დავალების შესრულების ხელმისაწვდომობა, რაც აადვილებს არსის წვდომას, ფაქტების განზოგადებას, იძლევა გაკვეთილზე შემოქმედებითი და მეგობრული ატმოსფეროს შექმნის საშუალებას. ყოველივე ეს უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ მასალის უფრო მაღალ დონეზე ათვისებას, პრობლემური კითხვების წარმოჩენას, ძიებას, შედარებას, განზოგადებას, განზოგადების სახვით და კონცეპტუალურ ფორმირებას.

განმაზოგადებელი გაკვეთილის ეფექტურობაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: სწავლების სხვადასხვა ტექნოლოგია, განსხვავება ისტორიის კურსის თეორიულ და პრაქტიკულ მასალას შორის, რომლებიც ასახავს ისტორიული პროცესის სხვადასხვა მხარეს (პოლიტიკას, ეკონომიკას, კულტურას...), პიროვნების ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული მიდგომების რეალიზება.

გამეორებისა და განზოგადების გაკვეთილი სტრუქტურულად შემდეგი ფაზებისგან შედგება: ორგანიზება, საშინაო დავალების შემოწმება, ცოდნის ყოველმხრივი შემოწმება, მოსწავლეთა მიერ მასალის აქტიური და შემოქმედებითი ათვისება, ახალი

ცოდნის ათვისება, ახალი ცოდნის განმტკიცება, საშინაო დავალების მიცემა, დავალების ინსტრუქცია, სისტემატიზაციისა და ავტომატიზაციის ფაზა.

განვიხილოთ ამ ტიპის გაკვეთილი ისტორიის სწავლების მაგალითზე

I ეტაპი მოსწავლეთა ორგანიზებაა. მისი ამოცანაა, უზრუნველყოს საგაკვეთილო პროცესის ნორმალური შინაგანი სიტუაცია, მოსწავლეთა ფსიქოლოგიური მომზადება მეცადინეობისთვის, რადგან "ყველანაირი შრომა, მათ შორის - სწავლაც, იწყება პირობების მოწესრიგებით, რომელთა გამოყენებით ის გაცილებით ეფექტურად მიმდინარეობს... ბევრ რამეს წყვეტენ პირველი წუთები; თუ თავიდანვე დაიკარგა მოტივაცია და ეს მოხდა არასწორი ორგანიზების გამო, გაკვეთილი წარმატებით ვერ ჩატარდება... ამიტომ ნებისმიერი საგნის გაკვეთილი, ნებისმიერ თემაზე, ნებისმიერი ტიპისა, კლასში ტარდება ის თუ ლაბორატორიაში, სახელოსნოში თუ მუზეუმში, ბუნებაში თუ ნებისმიერ სხვა ადგილზე - ყოველთვის იწყება წინასწარი ორგანიზებით".

ორგანიზების შინაარსობრივი მხარე	
მისალმება	განსაზღვრავს მოსწავლე/მასწავლებელს შორის რეალურ ურთიერთობას; მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მთელი პროცესის ზოგად მოტივს
მოსწავლეთა დასწრების შემოწმება	ავითარებს თანამშრომლობას, ჰუმანიზმს, დისციპლინას, სიყვარულს, პატივისცემას
გაკვეთილისთვის მოსწავლეთა მზადყოფნის შემოწმება	მოსწავლეთა სამუშაო განწყობის, სამეცადინო ადგილის, გემოვნების ფორმირებით დაინტერესება
საკლასო სივრცის ორგანიზება	გავლენას ახდენს განწყობაზე, მოსწავლეთა ზოგად ჯანმრთელობაზე, ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლის ღირსების ჩამოყალიბებისთვისაც
ყურადღების მობილიზება	გაკვეთილის დაწყება წინასწარი ყურადღების მობილიზების გარეშე, ინტერესის გაღვიძების გარეშე, გამორიცხავს სასურველ კონტაქტს, შინაგან კავშირს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის

გამეორებისა და განზოგადების გაკვეთილზე **დადებითი შედეგის მიღების პირობებია:** ფოკუსირება, კონცენტრაცია მასწავლებლის მხრივ; მასწავლებლის მოკლედ, მკაფიოდ გამოხატული იდეები; მკვეთრად გამოხატული ნებელობა; მასწავლებლის მოთხოვნილება და მტკიცე გადაწყვეტილება, დაყოვნების გარეშე გადავიდეს გაკვეთილზე ისე, რომ მოსწავლეთა მდგომარეობას მუდმივად ადევნოს

თვალი; მასწავლებლის მიერ პატარ-პატარა ფსიქოლოგიური პაუზების, შეკითხვების გამოყენება, რითაც გააღვივებს მოსწავლეთა ყურადღებას გაკვეთილის მიმართ; მასწავლებლის მშვიდი, გაწონასწორებული მანერა, კლასის მიმართ კეთილგანწყობა; მასწავლებლის მოთხოვნთა თანამიმდევრულობა.

ასეთი **გაკვეთილის მეორე ფაზაა მოსწავლეთა მომზადება აქტიური და შემოქმედებითი მუშაობისთვის.** ამ დროს ხდება მოსწავლეთა მიზანმიმართულებისა და შემეცნებითი საქმიანობის ორგანიზება, მათი სათანადო მომზადება გაკვეთილისთვის, კონკრეტული გზების დასახვა, იდეების ფორმირების ხელშეწყობა; აქცენტი გადადის მასალის შინაარსზე, სასწავლო პრობლემის განხილვაზე.

ამ ფაზის მთავარი დანიშნულებაა, მოსწავლეებმა სწორად გაიაზრონ სასწავლო პროცესის ყოველი მომენტი. ხშირად მასწავლებელი დაფაზე წერს გაკვეთილის თემას და გეგმას, მაგრამ არ ასახელებს მიზანს, არადა მთავარი ხშირად სწორედ სასწავლო მიზნის განსაზღვრაა. როცა მოსწავლეები ვერ აცნობიერებენ თავიანთი მუშაობის მიზანს, სასწავლო პროცესი იძენს ფორმალურ ხასიათს - მოსწავლეები მხოლოდ იმიტომ ასრულებენ დავალებას, რომ "რატომღაც ასეა საჭირო" და ვინაიდან არ ესმით დავალების რეალური მიზანი, არც სათანადო აქტიურობასა და დამოუკიდებლობას, ინიციატივას იჩენენ. აუცილებელია, მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად მკაფიოდ ჩამოაყალიბოს საგანმანათლებლო მიზანი, რაც მათ გაკვეთილის დასასწავლად პიროვნული პასუხისმგებლობით განაწყობს.

III ფაზაა ცოდნის სისტემატიზაცია და განზოგადება, რაც გულისხმობს საშინაო დავალების შემოწმებას, იდეების გენერაციას, ცოდნის ავტომატიზაციის მიღწევას.

ეს ფაზა იმით არის განსაკუთრებული, რომ იგი ხორციელდება მოსწავლისა და მასწავლებლისთვის ნაცნობი მეთოდებით - ლექსით, საუბრით, ზეპირი გამოკითხვით, ნაცნობი უნარ-ჩვევების გამომჟღავნებით, კონკრეტული ცოდნის განზოგადებით. განზოგადების გაკვეთილს შეიძლება ზეპირი ან წერილობითი ფორმა, ანდა ლაბორატორიული სამუშაოს ფორმაც ჰქონდეს. ამ დროს ათვისებული უნარების ხარისხი ერთობ თვალსაჩინოა. ამ ტიპის გაკვეთილის მთავარი ღირსება ის არის, რომ ამ დროს მთლიანობაში, ერთიანობაში ხდება საგნის შინაარსის დანახვა. მოსწავლეებს უვითარდებათ აზროვნება, კონკრეტდება მათი ცოდნის ხარისხი და შესაძლებლობები.

მოცემული გაკვეთილის ბოლო ეტაპია მოსწავლეთა ინფორმირება საშინაო დავალების შესახებ, ინსტრუქციის მიცემა. მნიშვნელოვანია, რომ საშინაო დავალების შინაარსი ზუსტად შეესაბამებოდეს მიზანს.

მოვიყვანოთ მაგალითები:

I-X კლასები - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაივლიან "ქართულ საისტორიო წყაროებს", მასწავლებელს შეუძლია, გარკვეულწილად სახალისო გახადოს

გამეორებისა და სიტემატიზაცია/განზოგადების გაკვეთილი და ასეთი სახით შესთავაზოს მათ დავალების შესრულება:

საკლასო სამუშაო: **გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული საისტორიო წყაროთა ამსახველი მასალა და დაწერეთ თხზულება - "მე - ჩემი ქვეყნის ჟამთააღმწერელი".**



ანდრია პირველწოდებული გელათის სახარება ხანძთა

აბჯარი ქართული კერამიკა ქართული სამოსი

ვენახი მთიულეთი საქართველოს რუკა

ვანის მონაპოვარი ხატობა მთაში კადრი ფილმიდან

II - VII კლასები

მაგალითად, გამეორებისა და სისტემატიზაციის (გამეორებისა და განზოგადების) გაკვეთილი "ძველი საბერძნეთის" განყოფილებაში (VII კლ.) შეიძლება ჩატარდეს შემდეგნაირად (ბუნებრივია, მასწავლებელი გამოიყენებს ყველა ზემოთ აღწერილ ფაზას/ეტაპს გაკვეთილის ეფექტურობისთვის):

თავდაპირველად მასწავლებელი იყენებს გონებრივი იერიშს და მოცემული თემიდან შემდეგ შეკითხვებს დაუსვამს მოსწავლეებს:

* რა მიღწევები ერგოთ ბერძნებს კრეტა-მიკენის დროინდელი კულტურიდან? ვინ ფლობდა მონებს ჰომეროსისა და ჰესიოდეს დროს? რა შედეგებით დამთავრდა ბერძენ-სპარსელთა ომები? როგორი პრივილეგიებით სარგებლობდნენ ათენელი მოქალაქეები? რატომ არ იყვნენ მონები დაინტერესებული საკუთარი შრომით? რა ნიშნებით ხასიათდება ძველი ბერძნების რელიგია? რა სახის მეცნიერული აღმოჩენები ეკუთვნით ძველ ბერძნებს? - და ა.შ.

შემდეგი სამუშაო რუკას უკავშირდება: რუკაზე უნდა იპოვონ ძველი საბერძნეთის

ტერიტორია, მისი უდიდესი ქალაქები, მისი კოლონიები.

ამის შემდეგ მასწავლებელი გაამეორებინებს მასალას და განამტკიცებს ამ თემის ძირითად ცნებებს: *არქონტი, დემოკრატია, ოლიგარქია, პოლისი, ტირანია, მონობა, არენდა, კონგრესი, ფილოსოფია* და ა.შ. გამეორება შეიძლება მოხდეს დამოუკიდებელი სამუშაოს (ჩაწერის, ჩანიშვნის), მერე კი ზეპირი დიალოგის სახით.

გამეორებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ისტორიულ თარიღებს. ამ მიზნით მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ტესტური დავალება "ამოირჩიეთ სწორი პასუხი". ერთი დავალება შეიძლება ეხებოდეს ისტორიული მოვლენების შედარებას. მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს მოსწავლეებს რამდენიმე თემა შედარების სავარჯიშოების შესასრულებლად, მაგალითად, "ძველი ბერძნების ცხოვრება სპარტასა და ათენში", "ძველბერძნული და ძველეგვიპტური რელიგიები", "რა აზრისა იყვნენ ჰომეროსი და არისტოტელე მონობის შესახებ" და სხვ.

ბოლოს მასწავლებელი შეაჯამებს გაკვეთილს, მოსწავლეებს მისცემს საშინაო დავალებას და გააცნობს დავალების შესრულების ინსტრუქციას.

როგორც ვხედავთ, მოცემულ გაკვეთილზე მასწავლებელმა გამოიყენა სხვადასხვა სახის დავალება, რომლებმაც ხელი შეუწყო ადრე შესწავლილი მასალის გამეორებას, სისტემატიზაციასა და განზოგადებას.

გამეორებისა და განზოგადება/სისტემატიზაციის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა უკვე ნაცნობ მასალასთან ახალი წარმოდგენების დაკავშირება. ასეთი გაკვეთილები მოსწავლეებს ასწავლის განხილვას, კონკრეტული შემთხვევის მიღმა საერთო წესის დანახვას, დასკვნების გამოტანას, მოვლენებს შორის კავშირის გამოვლენასა და გაანალიზებას. აქ ფართოდ გამოიყენება შედარებაც. გამეორების დროს აქტიურდება წარმოსახვა, მახსოვრობა, მოსწავლის აზროვნება განაგრძობს მუდმივ განვითარებას; ასეთი გაკვეთილი ზოგადად თემის შესახებ სრული სურათის შექმნის საშუალებას იძლევა, ანუ ნასწავლი მასალის გააზრებულ დამახსოვრებაში ეხმარება მოსწავლეს. ამიტომ არის, რომ განმაზოგადებელი გაკვეთილის ძირითადი თვისებაა მოსწავლეთა მიერ სისტემური ცოდნის საფუძველზე ახალი ცოდნის შეძენა, გადახედვა, გადასინჯვა. ეს ყველაფერი ხელს უწყობს მასალის არა მარტო კარგად დამახსოვრებას, ცოდნის გამოყენებას, არამედ აჰყავს მოსწავლე ახალ სიმაღლეზე, ფუნდამენტური ცოდნის შეძენაში ეხმარება მას.